

თეატრი

ქვემოთა
ქართული

№ 38

საყოველ-კვირბო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 38

12 სექტემბერი

გაგონიყვამ ყოველ კვირარაობით

1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. X ნასყვარ წლით ... 3 მან. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში ან წერეთლის ქუჩაზე. ფოთში ბ-ნი ბესარიან კლასნაძესთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ასყიდება: თბილისში: ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, შვედლოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპიროზის მაღაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორექტორული ცვლილებები, ლექსები და სხვა წერილი წერილები. თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორებისა, რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ სტატიები გარჩევით იყვენ დაწერილნი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთ თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კისრულობს. ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея бив. Аринуи № 110.

კვირას, 21 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ სასოციალისტების დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

როგორც კაშხს, ასე არ სწვივს.

ველიქები ხუმრობა ვოდევკილი

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ბნი. საფარ. აბაშიძისა, ჩუკუნიძისა, მინარაძისა, მედიკოვისა, ქ-ნი აბაშიძე, მესხივეი, გუნია, ნუბერაძე მასხაიძე და სხვ. დასაწყისი 7 1/2 საათ. ადგილების ფასი ჩვეულებრივი.

ქართული თეატრი

წარსულს ორშაბათს ქართული დრამ. კომიტეტის გამგეობამ გამართა პირველი წარმოდგენა. წარმოდ-

გენილი იყო 4 მოქმედებიანი კომედია „ქვანდელი სიყვარული“ და სცენა „მომარტყველ მოსამართლესთან“ დავით სოსლანისა.

საზოგადოთ თეატრის გასუფთავება და სცენის მორთულობა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდენ მაყურებლებზე. დიდი მადლობის ღირსია თეატრის პატრონი—ჩვენი სააზნაურო ბანკი, რომ არც ფული და არც ჯაფა დაიშურა თეატრის გაუმჯობესებისათვის.

რაც შეეხება წარმოდგენას და აქტორთა ხელოვნურს თამაშობას, თუ ისე გაგრძელდა, როგორც წარსული წარმოდგენა დაიწყო, ჩვენი თეატრი მალე მიღწევს თავის საგანს და რამდენიმე ხნის შემდეგ ნამდვილი ცხოვრების სკოლად შეიქმნება.

როლი, მიხერა-მოხერა, ლაპარაკი, სიარული ყველა მოთამაშეთ საუცხოვოთ ჰქონდათ შესწავლული. მაყურებელი მაშინვე შეატყობდა რომ ჩვენი

არტისტები ნამდვილის რეჟისორის ხელში იმყოფებიან.

მეტად ხელოვნურად შესრულეს თავიანთი როლები ვ აბაშიძემ, მ.საფარ—აბაშიძისამ, ნ. გაბ—ცაგარლოსამ ვ. მესხიევამ კ. მაქსიმიძემ და ა. ნებეძემ. ამთგარდა საუცხოვოთ შესრულა თავისი როლი ახალმა ქალი-არტიტმა ლ. ჩერქეზიშვილმა.— ამ ახალს მოთამაშეს ნიჭიც ეტყობა და ცოდნაც, თუმცა პატარა და უფერული როლი ჰქონდა, მაგრამ მაინც ჯეროვანად ითამაშა.

საზოგადოთ არტიტმა ნიჭი უნდა გამოაჩინოს უფერულ როლში თორემ კარგი და „ფეროვან“ როლში უნიჭო და უხეირო არტიტიც ხეირიანად გამოჩნდება და ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ლ. ჩერქეზიშვილისა რამდენიმე ხნის შემდეგ დახელოვნდება, თუ შრომას არ დაიხარებს, და ჯეროვან ადგილს დაიკავებს ჩვენი დასის არტიტთა შორის.

კიდევ ერთი სიტყვა. ბ-ნს „ივერიის“ რეცენზენტს ნახევარი ნუმერი აუჭრელებია თავის უმართებულო კილეა-კიცხვით. საზოგადოთ უნდა შეენიშნოთ, თუ რეცენზენტს ჰსურს რომ მისმა რეცენზიამ და შენიშვნამ მიაღწიოს თავის დანიშნულებას, ესე იგი, შეცდომა გაუსწოროს მოთამაშეს და რამე ასწავლოს კიდევ, უთუოთ საჭიროა რომ რეცენზია მართებული დი უპირადო იყოს, თორემ ამის გარეთ რეცენზია პასკვილად ხდება და შენიშვნა ეღარება კუდაბზიკურ ჯაერის ყრას... სხვაფრივ ჩვენ ვერაფრით ვერ აგვისხნია ბ-ნი „ივერიის“ რეცენზენტის შემდეგი მჭკრმეტყველობა: „ჩვენ კი სწორედ გითხრათ ცირკის კლოუნი მოკვავანდა. მართადაა ყველა ეს წვრილმანია, მაგრამ კარგი არტიტმა არც წვრილმანები უნდა დასტოვოს უეუზადლებოდ.“ ჩვენ ვარწმუნებთ ბ-ნს „ივერიის“ რეცენზენტს, რომ „კლოუნობა“ „წვრილმანია“ არ არის და თუ ვ. აბაშიძის შეცდომა წერილმანი იყო, მაშინ არამც და არამც ამ წერილმანს „კლოუნობა“ არ დაერქმის...

ცული ჩვეულებაა საზოგადოთ და მით უფრო არ შეეფერება დინჯი გაზეთის რეცენზენტს...

დღეს ქართულ თეატრში თამაშობენ სამ. მოქმედ. კომედიას „როგორც ჰქუხს ისე არ წვიმს“ და ვოდვილს „ცელქებს“.

ვალეკო—ია.

ხელოვნური პოეზია

შეეჩენკას ფიქრი.

გარბან დღენი, მიჭქვას ღამები,
წარსდა საფხულად, და შირალებენ
გაუვითლებული სუსხით ფურცლები,
ძნელდება ხედვა; გერ მღვიძარებენ
თუითონ ფიჭრებიც, და სძინავს გულსა.
ყველაფერი სთვლემს, არ გამეგებს,
თუ სულს ახნია სიფხანჯლის ჩრდილი,—
ცვათ ვსცქერ სოფელს, არ იძვრის ვნება,
ახარ მაჭკვ ცრემლი და არც სიცილი.

და ჩემი სკედრი ახა რა არის?
ეტყობა ზეცით მონიჭებული
არ გამახნია აწაფრისთანა,
ესრედ ბუდისგან მე ვარ ქებული!
მაგრამ კეთილსა თუ არა ვღიწხს ვარ
ბორბლი მანინც რად არ მომეცა?
ნუ იქმ, რა ღმერთო, როგორც მძინარე
გზოგვიდე ცუდათ, გაუვინდე შერა...
დამშალ წყალივით ყველა შარაზე,
ნუ გამომეტებს ამ სომამდის!
მომეც სიცოცხლე, ცის შემოქმედო,
სიამოვნების და სიხარულის
და მომეც გულით, გულით ვიცხორავო,
რომე შემეძლოს მათ სიყვარული....
უმნიშვნელოდ თუ ვანი ისუობა
სიკვიდე სიცოცხლე მაშინ ერთა.

ფაზელი

30 აგვისტოს 188 წ.

მწუხარე დედა.

(ბველი დროის სურათი)

ნეტავ რა ჰქუხს, რა ზუზუნებს,
რა ხმაურებს ირგვლივ კარში?
ქარი ხეებს აღაწუნებს,
თუ მღვრს მუშა სათახანში?!—

ან თუ მტერი ჩამოგვისტა
ჩვენის სოფლის ასაკლებად

და აყვირებს ბუეს მხედარი
 მანსუბების შესაკრებად?!..
 ანა, — ქარი ანა ჭყვირის,
 არც მღერს მუშა სათოხარში:
 ის დედაა, ქმარსა სტირის,
 შეიღს ისტუმრებს საომარში.

სტირის, მოსთქვამს ცოლი ქმარსა:
 ..კინ მომივლა შენი თავი?
 შენს მოყვარულ ცოლს თამარსა,
 ვინ ჩამაცვია შენზე შავი?

ვისი ტყუია უმოწყალო
 დაგებერა გულის ფიფქოს,
 და გამყარა, გმირო, შენს თავს,
 მუდმივ ჩემგან დაუვიწყარს?!..

რათ არ ვიუპ ამ დროს შენთან;
 რომ მტრისაკენ მიმეშურა
 და ტყუილისთვის შენ მაგიერად
 ეს გულ-მკერდი მიმეშვირა.

რომ ვეფხვივით მივკარდნოდი
 შენ მკვლელს, ყელი გამომეჭრა
 და მახვილი, შენი მკვლელი,
 მის საკრავად ხელში მქნურა!

ან სად არის შენი ტანნი?!
 ვაჟ თუ იმის სკავი სჭამდეს
 და შენს ძვლებსა ოსმალეთში
 ფარვით იგი გადიტანდეს!

ან იქნება, უჩადარი
 მგლების ხროვა გასეგოდეს
 და ჩემს მაგიერად გველი
 ყელზე ცივად გასეგოდეს!

ვერ მხედველი ჭირის უფლად
 მუდამ ცრემლებს უნდა ვღვრიდე!..

ნეტავ ჩიტო მაინც ვიყო,
 შენგან ჩქარა გამოფურინდე!

ვფიცავ შენ თავს, ჭირს ავიტან.
 არ მოკვალხენ სათათრესა,
 ვფიცავ ანდერესს, რომლის ძალით
 ჩაბბარე სული ღმერთსა:

ამ დღიდანვე შენს გზა და კვალს
 დაადგება შენი შვილი,
 და თუ მოჭკლეს, მაშინ ცოლი
 და ათის წლის ქალიშვილი.

ვსძებნით სისხლსა შენის მკვლელის,
 ამოვიღებთ ერთხელც არი,
 და წყეულისა თათრების
 ველს შეღებავს სისხლის ღვარი!..

შვილო ჩემო, მიხაილო—

ეუბნება იგი მისსა—
 მე შენ შეილად ადარ ჩატოელი,
 დაგიძახებ მაშინ გლახსა,—
 თუ რომ თავი არ ისისხლე,
 არ მოჭკალი მაშის მკვლელი
 და არ მოწყეუ მისის სისხლით
 სიმხსევითა ბრძოლის ველი.

1882 წელს.

ცხელი

ვუძღვნი თ. ლ. ქ - ძეს.

გნასე ბუჩქსე მოაძიკედ
 გულ-წარმტაცი რამე ვარდი;
 შემოდინა, ვაგრძობინე:

„გნასე და გულს ჩამივარდი“.

მუხლ-მოდრეკით თავყანი ვერ,
 ვუაღერსე შორიდგანა,
 და იმ წუთში არვინ იყო
 ბედნიერი ჩემისთანა!

მასში დავსახე სიცოცხლე,
 ნუგეში და სასოება...
 მხოლოდ მაშინ ცხადათ ვიგრძენ
 ამ სოფლის სიტკობება.

ვერ მომიტინა გლახ-გულმა
 მე მოკწევიტე იგი ვარდი...
 მაშინ თვალნი ამესილხა
 და საგონებელს ჩავვარდი:

არ მიჭხედა ტუთგამ აღერსა,
 გადინარა გვერდზედ თავი,
 ხელში დასკვნა და სიცხადე
 დამანახვა გულ-საკლავი:

მისდამი ხვეწნა-აღერსში,
 განქრა სიცოცხლის შნობა!..
 მაშინ მხოლოდ ცხადად ვიგრძენ
 ამ სოფლის ამოება.

ცაგარული

ქართული თეატრი ორი წლის განმავლობაში.

ამის შემდეგ იწყება რაღაც ანორმალური ანტრეპრიზა. ე. აბაშიძე მარტოდ დგება თეატრის მეთაურად, იგი ანტერპენიორობს, მაგრამ მოგვესენებათ, ერთი ჩემი მეგობრისა არ იყვის; „უფულოთ დედა ჩემს მამა ჩემი ეთაკილებოდაო!“ ანტრეპრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიორი მოთამაშებს რიგიანათ ვერ უსწორდებოდა, ამას აუცილებელი „არეულობა“ მოჰყვა და თეატრი ხელახლათ დაკუთდა. მერე იწყება რალაც „ამხანაგობა არტისტთა შორის“. საზოგადოთ უნდა ესთქვათ, რომ ჩვენმა დასმა ბევრი „ამხანაგობა“ სცადა, მაგრამ ამხანაგობა საქმეში და ჩვენები რალაც ვერ ვთანხმებიან ერთ-მეორეს, თითქოს ზეთი და წყალი იყვნენ ისე თაკილობენ ერთ-მეორეს. „ამხანაგობა“ თავდა პირველათ თხოულობს, რომ ამხანაგობას და მის წევრებს საერთო საგნის სული უდგეს, მისი ძარღვი უცემდეს და არა თვითო პირი, თვითო წევრი ამხანაგობისა, თავის თავისაგან ამხანაგობას წარმოადგენდეს. პირად ქირვეულობას საზოგადოთ ლაგამის ამოდება ეპირება და ეგ მით უფრო საპირო საერთო, საამხანაგო საქმეში. ჩვენებს კი ამ უსუსური და სასარგებლო აზრის განხორციელება კვლავ არ მოსდით.

ასე, ამ ნაირი ჯაგლაგით მიფოფხავდა ჩვენი თეატრი. ხან ისე გაიწედა, რომ ბელაურიც ვერ ასწრებდა და ხან კი კუსავით მიცოცავდა და ხშირად კიბოსავით უკან იხედა. დადგა ახალი სეზონი. 1884¹, წლიდამ ანტრეპრენიორად ალექსადრე ნებიერიძე გახდა. ბევრო ვერაფერი ითქმის ამ ანტრეპრიზაზედ, გარდა იმისა რომ დაცალკეეებული და დაფანტული სცენის ქურუმებს ცოტად თუ ბეგვრად ყველას ერთათ მოუყარა თავი და ამით მანც განმარტა ის აზრი, რომ ქართულ თეატრს ძალა აქვს, თუ საქმეს საქმის მცოდნე პირი წინ გაუძღვება, მაგრამ ნებიერიძემ საქმის ცოდნა ვერ გამოიჩინა... ეხლა სჯობს იმ ანგარიშს შეუდგეთ, რომელსაც დავიბრლით მკითხველს ამ წერილის წინედ.

ა. ნებიერიძის დასი შესდგებოდა შემდეგის მოთამაშებისა: პირველი ხარისხის არტისტები:—მ. მ. საფაროვი—აბაშიძისა (ეგ არტისტი—ქალი დიდ ხანს არ ღარჩენილა დასში) კნ. ბ. ავალოვისა, ნ. გაბუნია ცაგარლისა. კ. ყიფიანი, დ. აწყურელი (გამყრელიძე) ნ. ტყეიაველი (ერისთავი), მეორე ხარისხის არტისტები:—მ. მძინაროვისა, ბ. კორინთელი—ყიფშიძისა, ე. მელიქოვისა, ქ. ანდრონიკოვისა, ა. მოხევე, ნ. თომაშვილი, ნებიერიძე, ვ. გამრეკელი (გამყრელიძე). მესამე ხარისხის არტისტები: მ. მაქსიმიძე, ი. კავთელი. გ. დავიდაშვილი. ნ. ჩუბინიძე, ვ. გუნია, თამაზოვი და სხვანი. ამ დასმა წარმოდგენები დაიწყო სექტემბრის დამლევს და ხუთ ნახევარი თვის განმავლობაში გამართა 38 წარმოდგენ, (მათ შორის 2 გადაღებული იქმნა) და 4 დიდი კონცერტი.

ამ სეზონში დადგმული იქმნენ შემდეგი პიესები:—ღრამები: თამარ ბატონიშვილი (2 ჯერ) აბსუს

(2 ჯერ) ანუკა ბატონიშვილი (ახალი) ვლასი (ახალი) სიყვარული ასაღვასდა ქალას (ახალი) მონასტრის ზღუდეთ შორის, ანუ და ტყუზია (ახალი) (3 ჯერ), დაქვეული ოჯახი (2 ჯერ), ორი ობოლი, ვვარჯიშე ათაბაგი, ყანადი კაცო (ახალი), ბუდი მართათა (ახალი), შეკლასა, ქორ-ობლი, დამნაშავეს ოჯახი და მასკანადი (ახალი); კომედიები: მზის დახსენება, მანაიული ბაჭი (2 ჯერ), მკითხავი (ახალი) სხანმა (2 ჯერ), კეთილი და უმანკო ანგელოზი, სათაბადა, გაყრა დაჯა, შუშო (2 ჯერ) მასკანადი, ადოკატი მელაძე, შემოსავლიანი ადგილი, ტივათ მოგზაურება, კინტო, რაც გინახავს კელან სხავს, — ვოდვილები: ბაიყუში (4 ჯერ) გულმა ივანო (2 ჯერ) ოინბაზი, მარაგმანკისასა (2 ჯერ) უხინძანის ქუდი, დატრიალდა ჯანა (2 ჯერ), ბიძასთან გამოსუბრება (2 ჯერ), ბნელ-ოთახში, ბუტიაობა (2 ჯერ) და დიდა ქორწილის შემდეგ. ესე იგი სულ წარმოდგენილი იყო; 15 ღრამები, განმეორებით—19; კომედიები.—16, განმეორებით 19, ვოდვილები: 10, განმეორებით 19,—მაშასადამე დადგმული იქმნენ 41 პიესა განმეორებით—57. სხვათა შორის წარმოდგენილი იყვნენ კერძო სცენები: ჰამლეტიდამ, ოტელიოდამ, კინიდამ, მეფე ღირიდამ, სამშობლოდამ, მაკბეტიდამ, ყაჩაღებიდამ, მათიკოდამ, რევიზორიოდამ და შემლილის წერილები. სულ 10 სცენები. ახალი პიესები: ღრამები:—7, კომედიები: 1. ამათან უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე კერძო ღრამატიული სცენებიც.

მოთამაშებმა შეასრულეს შემდეგი როლები; ყიფიანმა სულ შეასრულა 54 როლი. აწყურელმა 53. ტყეიაველმა 45 კნ. ავალოვისამ 27, ნ. გაბუნია 21, მ. საფაროვისამ 14. მეორე ხარისხის არტისტები; მ. მძინაროვისამ 32. ანდრონიკოვისამ 37. კორინთლისამ 39, მელიქოვისამ 19, ბოგატელომ 19, მოხევემ 27, გამრეკელმა 24, თომაშვილმა 17, მაქსიმიძემ 27, ნებიერიძემ 22. მესამე განყოფილებამ; კავთელმა 37, ჩუბინიძემ 19, დავიდაშვილმა 18, გუნია 15 და თამაზოვი 37 როლი. როგორც მკითხველი დაინახავს ზოგიერთი მოთამაშეებს ბევრი როლები უთამაშნათ, მაგრამ არც ეს უნდა დავივიწყოთ რომ ახალი პიესები მხოლოთ რვა იყო, მაშასადამე ძველი როლები განმეორებით უთამაშნათ მხოლოთ 28 წარმოდგენაში. ხალხი შარშან დასაწყისში არ დადიოდა, მაგრამ ნოემბრის დამლევადან მოყოლებული დიდ—მარხვამდე თეატრი მომეტებულით ნახევარზედ ნაკლები არ ყოფილა.—განსაკუთრებით დიდი შემოსავალი იყო ერისთავის სახსოვრად გამართულ წარმოდგენაზე—და ბენეფისებზედ. აქ მართლა ურიგო არ იქნება მოვიხსენოთ ბენეფისებიც. სულ გამართული იყო 14 ბენეფისი. მათ შორის ყიფიანს 2, ავალო-

ეროვნული
საბჭო


ვისას ორი, გაბუნისა 1, კორინთელს, აწყურელს, და ტყეიაველს ორი, მძინაროვისა და ნებიერიძეს თვითო თვითო.—

1885¹ წელს ვ. აბაშიძის და მ. საფაროვის მე-
თაურობით დაარსდა ამხანაგობა, რომელიც შესდგე-
ბოდა შემდეგი მოთამაშეებისაგან: პირველი ხარის-
ხის არტისტები;—მ. საფაროვისა, ნ. გაბუნია, ე.
აბაშიძე, ვ. მესხივე, მეორე ხარისხისა:—მ. მძინა-
როვისა, ქ. ანდრონიკოვისა, გეორგიშვილი და ა.
მოხევე, აწყურელი, ნ. საბუელი (ჯორჯაძე). ი. ცა-
გარელი, ლომიძე და თამაზოვი. ამ დასმა პირველი
წარმოდგენა გამართა მარტის დამლევს და მისის
ბოლომდე თამაშობდნენ, შემდეგ დაიწყო ოქტომბრის
დასაწყისიდან დიდ-მარხვამდე გასტანა. შეიდ ნახევარ-
რი თვის განმავლობაში გამართა 45 წარმოდგენა,
(მათ შორის ორი გადაიდვა) და ორი დიდი კონცერტი.
წარმოდგენილი იქნენ შემდეგი პიესები: დრამები: თა-
მარ ბატონიშვილი (2), ცხოვრების თანამოგზაური (2),
კუდურ ხანუმ, დამნაშავეს ოჯახი (2 ჯერ) ბაგრატ IV,
ხამლეტი (2), ქორ-ოღლი, მგოსანი (ახალი) ანუკა-ბა-
ტონიშვილი, ორ ცეცხლ-შუა და აწსენა, კომედიები სა-
მაგალი, ესლანდელი სიყვარული (5 ჯერ, ახალი პიესა)
კინტო (3) სადავო მიფლბელობა (5) შარაყელი ბიჭი,
ქორწილი სეკსურთა, ალერსთა ბაღე (ახალი) მზის და
ბნელება, გზა დაბნეული ცხოვარნი (ახალი) ბუნდარი
დღე (ახალი) ჯერ დახმარე მერე დაქორწინდნენ, რაც
გინასაჲ კვლარ ნასაჲ, ხანუმა (2) და ხათახალა ვოდევი-
ლები:—სუსტი მხარე (4), ბნელ ოთახში (3), ბაიუში
(3) ერთდეთ ცეცხლსა (3), დატრიალდა ჯარა (2), გულმა
იგრძნო (3), ცეცხლები, ჭებკულესი (2), წუთით საცლად
(ახალი), ბუტიალბა, იონხაზი, რეკენი საქმეს გააფუ-
ჭებს ფათარაკს დახმარებსო და ოპერეტა მკვლისი იტა-
ლიელებით (2) ე. ი., სულ უთამაშნიათ: 11 დრამები
განმეორებით 15; კომედია 14, განმეორებით 25;
ვოდევილები.—12, განმეორებით—25; მამასადამე
წარმოდგენიათ 37 პიესები განმეორებით კი 65;—
სხვათა შორის წარმოდგინეს კერძო სცენები ჭამლე-
ტიდამ, ყანადგობიდან. ახალი პიესები: დრამები 1, კო-
მედიები: 4. ვოდევილი 1. სულ ახალი პიესები 6.
მოთამაშეებმა შეასრულეს შემდეგი როლები: მ. საფა-
როვისამ 51. გაბუნამ 8., მძინაროვისამ 45, გე-
ორგიშვილისამ 22, აბაშიძემ 49., მოხევემ 47 მეს-
ხივემა 37, საბუელმა 22, მაქსიმოძემ 39, ცაგარელ-
მა 24, ლომიძემ 23. აწყურელმა 4. თამაზოვმა 43
როლი. აქაც იმას ვხედავთ რაც წინეთ, თვითო მო-
თამაშეს ნამეტანი როლების აღსრულება აწევს, მაგ-
რამ თუ მხედველობაში მივიღებთ რომ 43 წარმო-

დგენაში მხოლოდ ექვსი პიესა იყო ახალი მაშინ, მა-
კარად დაინახავთ, რომ მომეტებული არტისტების ნა-
წილი მხოლოდ იმეორებდნენ ძველს როლებს. ამ სე-
ზონში გამართული იყო 13 ბენეფისი აბაშიძეს, ან-
დრონიკოვისა, მესხივეს და მოხევეს ორ ორი ბენე-
ფისი ჰქონდათ, გაბუნისა, საფაროვისას, მძინაროვი-
სას და მაქსიმოძეს თვითო-თვითო, ერთი ბენეფისი კა-
სსირის სასარგებლოდ იყო.

აი მოახლოვებითი ანგარიში ჩვენის დასისა ამ
ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში. მკითხველი
აშკარად დაინახავს თუმცა მოთამაშებს უმცლადინი-
ათ მაგრამ მათი შრომას არც ისე დიდი და საგ-
რძნობელი სარგებლობა მოუტანია, როგორაც ყვი-
როდენ ზოგერთი ცხარე თეატრალების. საქმე ის არის
რომ გაცვეთილი კომედიებით და ვოდევილებით ხალ-
ხის გონებას ენების მეტს ვერაფერს მოუტანენ. ამ
ორი წლის განმავლობაში წარმოუდგენიათ სულ
122 პიესა და მათ შორის მხოლოდ 13 ახალი პიე-
სა!!!...და ისიც მომეტებულად უხეირო. ვერაფერი გან-
ძია თეატრის და საზოგადოების სასარგებლოდ! თეა-
ტრი კი მუდამ გაიძახის; „ხალხი არ დაიარება“. რა
თქმა უნდა არ ივლის, რადგან ერთს პიესას ათ-
ჯერ-ოც-ჯერ ჰხედავს და მთელი პიესის შინაარსი რო-
ლებითურთ თვითონ მოთამაშეებზედ უკეთ იცის.
სცენა მაყურებელს ან პიესის სიახლით იწვევს ან
არადა ხელოვნური, თამაშობით, ჩვენს თეატრს კი ეგ
ორი პირობები აშკარად აკლია. აი, ეხლა უნდა
დრამატიული კომიტეტმა გამოიღოს. თაეი და ხელი
მიაწვდინოს მომაკვდავს თეატრს და ამ დახმა-
რებით დაუფიქარმა სამსახური გაუწიოს ჩვენს
საზოგადოებას. ეიმეორებთ ჩვენს წინანათქვამს: ჩე-
ნის თეატრის იღბალი ახალ დრამატიულ კომიტეტ-
ზედ არის დამოკიდებული, ახლათ ამორჩეულის კომი-
ტეტის მმართველობა შესდგება იმისთანა პირობისა-
გან, რომლებსაგან საზოგადოება ბევრს მოელის და
საბუთებიც აქვს მაგრამ, არც ის უნდა დაიფიქოს
საზოგადოებამ, რომ მარტო იმედებით საქმე ვერ
ჭკუთდება. საჭიროა დახმარება, ხელის შეწყობა კომი-
ტეტისათვის.

ერთი უსიამოვნო ამბავი კიდევ. ყველამ იცის
რომ ჩვენი ნიჭიერი და დაუღალავი სცენის მუშაკი—
არტისტი ნიკოლოზ მაკარისძე თამაშეილი (შიშნივეი)
გარდაიცვალა შარშან 20 ივნის. პატიოსანი ნიკოს
სიკვდილით ჩვენს თეატრს ერთი უკეთესი წარმომა-
დგენელთაგანი დააკლდა. ნეტარ იყოს მისი ხსენება!
ჩვენის თეატრის პანტეონში ნიკოლოზ თამაშეი-
ლი ერთს უკეთეს ადგილს დაიჭერს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოს ვისურვებთ რომ ჩვენი ქართული თეატრი დრამატიულ კომიტეტის ხელმძღვანელობით ისეთს წარმატებაში შევიდეს, რომ შემდეგი წლიური ანგარიშში 13 პიესა ძველათ და 122 ახლებათ აღგვენიშნოს.

ვალერიო—ია.

ხალხური პოეზია

რაჯაბანი შეიკმაზა ჯაჭვითა და ჯინჯილითა,
უნდა ქალაქს შამოკერტუა ამოუწვიტო შიმშილითა
ეს რა ერეკლე გავიგო გადაბრუნდა სიცილითა,
შენი ერეკლე მოგაკვდეს ვერ გაგხეთქო სირბილითა:
კოჯორი მოგარბენო, მონასტერი ტირილითა.
ისე გაუწვიტა ჯარი, ერთი მირბის წინწილითა
შეჭამადი შეუნელა კოჭითა და პილპილითა,
დაჯე, რაჯაბ, პურის ტამე, არ მომიკლე შიმშილითა;
რა პურისა მენადლეუბა, კუჭი მტკიავს სირბილითა.

შეკრებილი ნაუთლუნელი სოსოსაგან.

აკი გითხარ, დედამთილო, ნუ გამგზავნი წისქვილშია,
წინ ბიჭები დამხვდებიან, ჩამაკვდებიან სირცხვილშია.

მინდორ-მინდორ მოკდიოდი, აღაგ-აღაგ ჭოჭვი იყო,
მე ის კი აღარ ვიცოდი, თუ ეს ქალი კოჭლი იყო.

იამა გშობა შობითა, ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარკისმა ძუძუ გაწუა, მას გეკხარ სუნელებითა.

შეკრებილი დოლოჯობისაგან

(შეკრებილი ს. საქაშეთში გიგო დიასამიძისაგან)

ყოვლით მესმა ჭება თქვენი
შვიდ მნათობთა მაგიერად,
ყოვლის ტურფის უმჯობესნო,
ტანტსედ სხედხართ ღმობიერად.
ღმერთმა თქვენი თავ-გვირგვინი
მოგისდინოთ ბედნიერად,
ყველა-წმინდამ ვაჟი მოგტესთ,
შეგაბეროთ ნებიერად.

ნეტავი ვიუვე მე ვარდი შენ წინა გავიშლებოდე.
მატარა ჩიტად მატყია, უბეში ჩავიჯდებოდე;
მაქრის ვინუღად მატყია, ენასუდ დაგადნებოდე;
მასუგან მოკვდე-რამგამა-შენს კეთილს მოკვსწრებოდე.

უ ე ლ ე ტ ო ნ

ბ ი ჟ ი ა ?

გი დე მოზახანის
მოთხრობა.

ფრანგულით ნათარგმნი.

პ. მირიანი-შვილის მიერ.
(გაგრძელება.)

განა გიყი ვარ?—არა.

აი ერთს სალამოს იგი ბედნიერი მეჩვენა. მე ვი-
გრძნე რომ ახალი გულის-თქმა ცხოვრებდა მაში,
უქვევლად მჯეროდა. იგი ცანცახებდა თითქო ჩემ-
გან ხელ მოჭიდების შემდეგ; მის თვალს ცეცხლი
ეკიდებოდა, ხელებს სითბო ჰქონდათ, მისი მთლად
მთრთოლვარე გვამი იშორებდა იმ ორთქლს სიყვარ-
ულისას, საითგანაც გამოდიოდა ჩემი სიშმაგე.

მე მოვიგონე ვითომც არაფრის შეტყობა არ
მინდოდა, მაგრამ ჩემი ყურადღება კი მას ისე ედებო-
და როგორც ბაღე.

მაგრამ კი ვერაფერ ვიგებდი ჯერ.

ვიცადე ერთ კვირას, ერთ თთვეს ერთს ცნო-
ბილს ხანს. იგი იფურჩქნებოდა გაუგებარი მგზნება-
რების გამოჩენით; იგი მშვიდდებოდა შეუგნებელის
აღერსის ბედნიერებით.

უცებ აღმოვაჩინე! არ ვარ გიყი. ფიცს გაძ-
ლევთ გიყი არ ვარ!


როგორ ვთქვა ეს? როგორ შევიტყო! როგორ
გამოვთქვა ეს საძაგელი და წარმოუდგენელი საქმე?
აი რამ შემატყობინა.

ერთ სალამოს; გეუბნებით ერთს სალამოს, შე-
მოვიდა თუ არა იგი დიდი ხნის ცხენით სვირნობის
შემდეგ, ლოყებ-გაწითლებული გულ-აძგერებული,
მუხლებ-მოკვეთილი, თვალე-მიქანცული დავარ-
და დაბალ სკამზედ, ჩემ პირ-და-პირ. აი ასე ენა-
ხე! მას უყვარდა! არ შეიძლებოდა რომ მოეტყუე-
ბულიყავ!

მაშინ არ ვიცოდი რა მექნა, რომ აღარ დამე-
ნახა იგი, და მივბრუნდი სარკმელისკენ. ამ დროს
დავინახე მოსამსახურე; მას საჯინბოსაკენ აღვირით
მიჩქავდა მისი დიდი ცხენი, რომელიც ყალყზედ ღებოდა.

ქალიც აგრეთვე თვალს ადევნებდა გაცეცხლე-
ბულსა და მხდომარე ცხოველს. მერე, რაკი ცხენი
თვალთგან მიეფარა, ქალს მაშინვე დაეძინა.

მრთელ ლამეს ვფიქრობდი; მეგონა შევედი იმ
საიდუმლოში, რომლის ეჭვი ჩემ დღეში არ ამილია.



ვინ გაზომავს ქალების გრძნობის განრყენილებას? ვინ მიხედება მათ უმართლო ქინს და უუცნაურესის ფანტაზიების უუცნაურესს წყურვილს?

ყოველ დილას, იცისკრებდა თუ არა, ცხენს მიათხარაკებდა მინდვრად და ტყედ; და ყოველ ჯერ, იგი დაბრუნდებოდა, ღონე-მიხნდლი თითქო სიყვარულის შმაგობის შემდეგ.

შევიტყე! ახლა კი შემშურდა, ღონიერი და მოთხარაკე ცხენი; შემშურდა ქარი, რომელიც, ეალერსებოდა ცხენის სახეს, როდესაც იგი გაგიყებულად მიდიოდა; შემშურდა ფოთლები, რომელნიც კოცნიდნენ მის ყურებს გავლის დროს; წვეთები, რომელნიც მას ეცემოდნენ შუბლზედ მზე-შემოჭვრეტილ შტაგებ შორის; შემშურდა უნაგირი, რომელზედაც იგი იჯდა და რომელსაც მისი წვივი ეჭილებოდა.

ეს აბედნიერებდა მას, მოჰყავდა იგი აღტაცებაში, ეს უკლავდა წყურვილს, ეს უღივდა ღონეს და ჩემთვის კი შემდეგ უგრძნობელსა და თითქმის დაბნედილსა ხდიდა.

მე დავაპირე შურის-გება. მე მას ნახად და ყურადღებით ვექცეოდი. მას ხელ ვაფუშვებდი, როდესაც იგი ცხონით ჩამოხდებოდა ხოლმე გაშმაგებული სეირნობის შემდეგ. მძინვარე ცხოველი ყალყით ჩემსკენ მოიჭრებოდა; ქალი მიზნეჟილ კისერზედ ხელის სობით ეფერებოდა ცხენს, მე ვხვებოდი მის ცახცახა ნესტოებს და მერე კი არ ვცდილობდი მისი ტუჩების მოწმენდას; და თითქოს ღოგინის სითბოს შემდეგ გაოფლიანებულის მისი ტანის სუნნელეზა ჩემ ცხვირთან ერეოდა პირუტყვის მწარესა და უშვეფრს სუნს.

დავუცადე ჩემ დღესა და ჩემ საათს. იგი დადიოდა ყოველ დილას იმავე ბილიკით პატარა არკნარში, რომელიც შედიოდა ტყედ.

მე ცისკრობამდე გამოვედი, ხელთ ბაწარი მეჭირა და დამბაჩა კი გულზედ მქონდა მიმალული, თითქოს სადუელოდ მივიდიოდი. გავიქეც იმ გზისკენ, რომელიც მას უყვარდა. მე გავაბი ბაწარი ორ ხეს შუბ; მერე კი დავიმალე ბაღახებში.

ყური მიწას მეკრა; მომესმა მისი ცხენის შორეული თოხარაკი; მერე კი დავინახე ფოთლებს ქვეშ თითქო თაღის ბოლოს, ქენებით მომავალი. ოჰ! არ შემეცდარვარ, იგი იყო! ჰსჩანდა სიხარულით აღტაცებულიყო, ლოყებში სისხლი მორეოდა, თვალისჩინი გაშმაგებოდა; და თავ შეუკავებელი სიარული ათრთოლებდა მის ნერვებს განმარტოებულისა და გაშმაგებული კმაყოფილების გამო.

ცხოველი გავბა წინა ფეხებით ჩემგან დაგებულ მახეში, და ძელებშემუსრვილი დაფარდა. ქალს ხელი ეტაცე ხარსაც. კი ავწვევ ისე ძლიერი ვარ. მერე როდესაც დავსვი იგი მიწაზე, მიეუახლოვდი მას, ვინც ჩვენ გვიყურებდა; იმ დროს როცა ის ცდილობდა ჩემ კბენას, მივაყოლე და ძირს დავეხეთქე.

მაგრამ მეც დავეცი ორჯერ მათრახის დაკერი-საგან სახეგაკაწრული; და როცა ქალი ჩემზედ აპირებდა ხელახლად მოსვლას, მასაც მივაყოლე ცხარე ცხარე და დავახეთქე მიწაზედ.

მითხარით, გიჟი ვარ თუ არა?

აირთხეთიკული გამოცანა

სამი გოგო ვაშლებს ჰყიდდნენ. პირველს, ნუცას ჰქონდა 10 ვაშლი, მეორეს-თამარს 30 ვაშლი, მესამეს-მაროს 50 ვაშლი ნუცამ, თამარმა და მარამ პირობა დასდეს, რომ ერთ და იმავე დროს ერთსა და იგივე ფასად გაეყიდნათ ვაშლები—და ასეც მოხდა. როდესაც ვაშლი სულ დაჰყიდას და ფული დათვაღეს აღმოჩნდა, რომ სამივეს თანასწორად აუღიათ ფული—ესე იგი რამდენიც ნუცას აუღია, იმდენიც თამარს და მაროსაც ვითხოვა: როგორ ჰყიდნენ გოგოები ვაშლებს და რამდენი ფული აუღია თვითოულს მათგანს?

ან ე გ ლ ო ტ ე ბ ი

ერთი პატივცემული კაცი თურმე ერთობ სწორათ პატივობდა თავის ძველს და ახალს მეგობრებს. ეს კიდეე არაფერი; მაგრამ შესანიშნავი ის იყო, ამ კაცს ყოველთვის სადილათ ღომი ჰქონდა და ამითი აძლოებდა თურმე თავის სტუმრებს.

— არა, ყველა, ყველა—და ეს ღომი რაღა არისო, ჰკითხეს ერთს მახელს კაცს.

— ჩიტებს ღომით მიიტყუებენ ჩვენშიო, მიუგო იმან.

* * * ერთი პატარა ბიჭი ვირზე შემჯდარი მოდიოდა თურმე, ორი დიდთ კაცი შეჰხვდნენ და ჰკითხეს: ულაცია თუ ქაკი, ბიჭო, ეგ ვირიო? მოგზაურმა ხმა რა გასცა მაშინ; მაგრამ გავიდ თუ არა წყალზედ, რომელიც იქვე ჩადიოდა, დაუძახა თავადებს: „რას მიბრძანებდით, შენი კიომეო?



— აი იმას, ულახუა თუ ჭაკი შენი ვირიო?
 — ქეციანი ვახლავს შენი კიიმე.
 — მაშ წელან რათ არ გვიპასუხე, რალა წყალს
 ვალმა ვასელა დავკირდა?
 — თქვენი შემეშინდა, ბატონებო, ვაღმოსძახა
 იმ ბატონებს ღიმილით პატარა გლენმა.
 თ. ხეს—ქე.

„თეატრის“ ფოსტა

შარბია მ. ყიფიანს. თქვენი წერილი მივიღეთ. დი-
 დათ გმადლობთ. კარგი იქნება რომ ვოლტერის მოთხრობებს
 გამოგვიგზავნიდეთ ხოლმე.

სოხუმი მ—ე. თქვენი წერილი დაიბეჭდება თუ რამე
 დაბრკოლება არ ვაელობა გზაზე.

თბილისი ი—ა—ქეს თქვენი ლექსი შეტად ნაძალადე-
 ბია და ამიტომ დასაბეჭდათ ვერ გამოდგება.

დ. ასაღსენსაკი ბ-ნს ძეგს. თქვენი წერილი მივიღეთ
 და დაგეგმავდით კიდევ, მაგრამ საუბედუროთ ჩვენ არ ვიცით
 წერილი თქვენი საკუთარ მსჯელობის ნაყოფია თუ რუსულიდამ
 ნათარგმნი—დიდათ დაგვაგალებთ თუ მაგას შეგვატყობინებთ. ჩუ-
 ბინოვის ლექსიკონი შეგიძლიანთ შეიძინოთ ჩარკვიანის წიგნის
 მაღაზიაში.

ბ-ნს სახდრო მ—ეს. „ჰამლეტი“ ბოლომდინ დაბეჭ-
 დება და რვა ან ცხრა ნომრის შემდეგ გათავდება კიდევ—ჰამ-
 ლეტი კერძოთ ეღირება არა ნაკლებ ათის შაურისა. ხელის მო-
 წერა ჰამლეტზე ამ თავითვე შეგიძლიანთ თუ შემოიტანთ შემო
 სწენებულს ფულს.

ბ-ნს სვიმონს დ—ს. ბარემ ჩვენც გვინდა რომ დაგ-
 ბეჭდოთ მაგრამ მაგ რამ გვეხირება..

ბ-ს სოფლის მასწავლებელს. ჩვენ დიდათ გმადლობთ
 შენიშვნისათვის. სიზოგადოთ ჩვენ ყოველთვის მონარული ვიყუ-
 ვით ყოველ გულწრფელის შენიშვნით და მით უფრო ფხიზელს
 შენიშვნას ადვილს მივსცემთ ჩვენს გაზეთში —

რედატორ-გამომცემლის ძავიერი ვაღიერიან გუნია.

ვ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

საკვირაო რეპერტუარი რუსულ ოპერისა

კვირა—21 სექტემბერი — ტანჭვიზერი
 ორშაბ.—22 კარმენი

სამშაბ.—23 ჯიანციფლი
 ოთხშაბ.—24 ჰალკა
 ხუთშაბ.—25 წარმოდგენა არ იქნება
 შარასკებ.—26 ტანჭვიზერი
 შაბათი—27 ჰერნანი.
 დასაწყისი 7¹/₂ საათზედ ადგილების ფასი ჩვეუ-
 ლებრივია.

თილისის საქალაქო განგებობა

ამით საუოველთაოდ აუწყებს, რომ ამა სექტე-
 მბრის 4-იდან უოველ დღეობით დილის 9.
 საათიდან 2 სათამდე შეიძლება ნახონ სია ქა-
 ლაქის ამომრჩეველებისა მომთვალ ოთ-
 ხი წლის ვადაზე 1887—1890 წლამდე. იმ
 ჰირთ, რომელნიც შეცდომით არიან შეტანილ-
 ნი სიაში, ან სრულებით არ არიან დაწერილნი,
 შეუძლიანთ თხოვნით მიჭმართონ გამგეობას ამა
 სექტემბრის 7—21-მდე. თხოვნა თავის დრო-
 ზე მოხსენებული იქნება საბჭოს წინაშე.

გამგეობის წევრი სოსროევი (3—3)

აბეჭდება და სექტემბრის პირველს რიცხვებში გამოვა, —

„ქართული წერის დედანი“

ვ. გაბიჩვაძისა.

(გამოცემა ი. მურადოვისა)

წერის დედანს შეადგენს: 1 მსხვილი გადაუმელები ხელი
 ბადეში თავის ელემენტებით; 2 დაშატანაკებული საშვა-
 ლო მგრგაკალი ხელი უბადეოდ ოთხს ხაზში; 3, გადაბ-
 მული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური ხელი სამს
 ხაზში და 4 გადახრილი (наклонный) გაკრული ნუ-
 სხური ხელი ბადეში—ჟერ გადაუმელებად და შეძგებ სამს
 ხაზში გადახრილი. — დედანს აქვს სულ 24 გვერდი. დედან-
 ის ფასი—30 კაპ. კინც ოცდაათსანუ მეტს იყიდის ეგ-
 ზემ. დაეთობა 24 კაპ. (3—2)